ლტოლვილი.

სასახლეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ 6/ქ – 182

1925 წ.

ახალი წელიწადია!

ა-ცრემლდა თვალი, დაიხა გული,
ხ-ალხის წამებით ალარ ჟღერს ჩანგი!
ა-ღსრულდა სისხლში წელი წარსული...
ლ-ტოლვილს მრქვით მხიარულად გოდე-
[ბის ჰანგი!
ი-ღვარა სისხლი დიდ ნიავღვარად,
წ-არღვნა ქართველთა ბინა, მთა-ბარი!..
ე-რსა წამებულს თავ-შესაფარად,
ლ-უსკმად დაურჩა კაპან-მალნარი!..
ი-ვერის იუდებს, გულ-ლადრიანებს,
წ-ყევლა ტანჯულთა არ გაახარებს!
ა-ღგვის დრო უგლიმთ, კრულ-სისხლი-
[ანებს
დ-ა უდაბნოთ ჰქმნის თვით მათ სამარებს!
ი-მათ საქმესა, გვარს და სახელსა

ა-მიერიდგან ჩანსთქავს ბნელეთი,
ბ-ავლილსა მათის ცოდვების კვალსა
უ-კუნით კრულ ჰყოფს ცა, ზღვა, ხმელეთი.
ლ-იზღ-გველთ სისინი, ნადირთ ღმუილი
ი-მათ უდაბნოს როცა შეჰზარდეს,
თ-ავი იწყეველონ, ვერც გრძნონ ღუმილი
ბ-რიგალი რისხვის როს ზრუნს დასძახდეს
„ი-უდების კრულვა!“ - ჭოტთაც ყივილი
ლ-იას მათ მტვრისას როცა დაჰყეფდეს
ო-რლანით მაშინ, ვიმღერთ „დიდებას“
ც-ას ვეტყვით მაშინ შვებისა ქებას,
ა-ხალ წელს, მაშინ ქართველი ერი,
ბ-ა'მას ძახილით, სდგეს ბედნიერი!

ჟურნალ „ახალი საქართველო“ს ბელადებს.

შემოგვესმა დაცაულლდენ
მიწიშვილი-ვეშაპელი;
ორივ ერთად სისინობენ,
გესლს ანთხევენ ვითა გველი.

კარგს ნუ მოვსთხოვთ გუდაფშუტას,
თავ-დამთხვეულს, ყბედსა, მყრალსა,
ზარაფიანც-ვეშაპოვსა
შობითგანვე ბილწსა, მხდალსა.

ქართველთ სისხლში გათხუპნულებს
ტაშს უკრავენ უკეთურნი,
და ფიქრობენ ჩვენც ბანს მივცემთ —

ეგზომ გახლავსთ უგუნურნი!

ხრწნილნი სულით, მხდალნი გულით
აფურთხებენ ჩვენს აკლდამებს..
ფულზე თავი გაიყიდეს,
დაემონნენ უგლიმთ ქრთამებს.

უხარიათ იქედნებსა,
სისხლის მსმელებს შეუერთდენ;
მხოლოდ ის ჰკლავს საზიზღრებსა
მოძმეთ სისხლს, რომ თვით ვერ ხვრეტ-

[დენ.

დაცდილია: — ტურა-მგლები
როს ჯიჯგნიან სადმე ლეშებს,
ხრწნილ ხორც-სისხლის მძიმე სუნი
ყვა ყორნებსაც დაიგეშებს.

ყრანტალობენ...გვეძახიან...
—ვისი ხმაა საზარელი?

საქართველოს დასჩხავლიან,
დრო დაუდგათ სახარელი!

ცოდვით ხრწნილსა მუცელ-გუდას
ქებით ამკობს ფლიდი, შტერი;
ბელიარსა მოემატა
ბელზებუთი ქართველთ მტერი.

ქარუმიძე, მიწიშვილი,
ვეშაპელი, ყანდარელი:
ოთხი ჯუდა; ოთხი გველი!
სად ძვრებიან, სად აქვთ ხვრელი?!

სწყევლის ამათ ქართველობა,
საქართველო და თვით ღმერთი!
ჩვენც ნუ გვინდა ეს კრებული
—საზიზღარი ჯოჯოხეთი!

NK 182